საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/19 "26" ივნისი 2010 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანდართული რეგლამენტი.".

2. გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის:

ა) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს პარლამენტს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენენ საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული პარლამენტის 3 წევრი და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობრივად შედის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში. საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 წევრიდან 1 წევრი არჩეული უნდა იქნეს იმ ფრაქციიდან (ფრაქციებიდან), რომელიც (რომლებიც) არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში, ან საქართველოს პარლამენტის იმ წევრთაგან, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში.";

ბ) მე-2 მუხლის 3^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეს და საქართველოს პარლამენტის წევრს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაძლებელია დაუწესოს დანამატები. ეს დანამატები გაიცემა საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.";

ე) მე-9 მუხლის „ჟ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან განთავისუფლების, უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების, სასამართლოს (სასამართლო კოლეგიის ან პალატის) თავმჯდომარის უფლებამოსილების, აგრეთვე სასამართლოს ლიკვიდაციის და მოსამართლის თანამდებობის შემცირების დროს მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების ან დაკისრებული უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.".

მუხლი 2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2010 წლის 1 მარტიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი